ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის

სხდომის ოქმი № 16

30 მარტი 2018 წ ქ.თბილისი, თავისუფლების მოედანი # 2

12:00 სთ

მოწვეული სტუმრები:

სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსი- ირაკლი თავართქილაძე

შ.პ.ს. „სატრანსპორტო კომპანიის" წარმომადგენელი - ირმა არევაძე

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებიდან სხდომას ესწრებოდნენ :

1. კომისიის თავმჯდომარე - ირაკლი ზარქუა

2.კომისიის წევრები: ლევან არველაძე, რამინა ბერაძე, ალექსანდრე ხუჯაძე, დავით უთმელიძე,ლევან დარახველიძე, გოჩა თევდორაძე.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომა უფლებამოსილია, რადგან სხდომას ესწრებოდა კომისიის წევრთა უმრავლესობა.

სხდომას თავმჯდომარეობდა ირაკლი ზარქუა.

სხდომის თავმჯდომარე მიესალმა სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას და გააცნო მათ დღის წესრიგი.

კენჭი უყარეს წარმოდგენილ დღის წესრიგს.

დღის წესრიგი:

1. ქ.თბილისში, ფონიჭალის დასახლების IV მიკრორაიონში კორპუსი №11-ში (საკადასტრო კოდი:01.18.13.037.026) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პროვატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2017 წლის 29 ნოემბრის №44.02.853 განკარგულების ცვლილების საკითხის შეთანხმების თაობაზე. №01-01180824119 23.03.2018წ

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტსა და ევროპის რეკოსტრქუციის და განვითარების ბანკს შორის „თბილისის ავტობუსების პროექტი-კორპორატიული განვითარებისა და დაინტერესებულ მხარეთა მონაწილეობის პროგრამის"განხორციელების მიზნით გასაფორმებელი გრანტის ხელშეკრულების „ თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ.№01-01180881645

დღის წესრიგი დამტკიცებული იქნა

მოისმინეს: ქ.თბილისში, ფონიჭალის დასახლების IV მიკრორაიონში კორპუსი №11-ში (საკადასტრო კოდი:01.18.13.037.026) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით

პროვატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2017 წლის 29 ნოემბრის №44.02.853 განკარგულების ცვლილების საკითხის შეთანხმების თაობაზე.

საკითხი, კომისიის წევრებს წარუდგინა ირაკლი თავართქილაძემ. მისი განმარტებით, კრწანისის რაიონის გამგეობის წერილობითი შუამდგომლობების საფუძველზე, თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2017 წლის 29 ნოემბრის №44.02.853 .განკარგულებით, მიღებული იქნა გადაწყვეტილება ფონიჭალის დასახლების IV მიკრორაიონში კორპუსი №11-ში (საკადასტრო კოდი: 01.18.13.037.026) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პროვატიზებით იმ პირთათვის საკუთრებაში გადაცემაზე, რომლებიც ხანგრძლივი დროით ფლობენ და სარგებლობენ აღნიშნულ ქონებებს, ხოლო საკრებულოს მიერ 2017 წლის 5 დკემბრის №55 განკარგულებით, შეთანხმდა მთავრობის განკარგულებით განსაზღვრულ პირებზე უძრავი ქონების პრივატიზების საკითხი. ამ განკარგულებებით გათვალისწინებულ რამოდენიმე პირთან: ანა თოიძესთან, პაატა დანდურაშვილთან და მარინე გაბოძესთან ხელშეკრულების გაფორმებამდე, სსიპ ქონების მართვის სააგენტოში წარმოდგენილ იქნა კრწანისის რაიონის გამგეობის წერილი, რომლითაც გამგეობამ ითხოვა ამ პირების ამოღება მთავრობის განკარგულებით განსაზღვრული სიიდან. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად ა მიჩნია გამგეობის პოზიციის გათვალისწინება. საკითხი წარმოდგენილია საკრებულოში შესათანხმებლად.

საკითხთან დაკავშირებით, ირაკლი ზარქუამ მიმართა მომხსენებელს, რომ გამგეობებს დაევალოს ანალოგიური საკითხების განსაკუთრებული ყურადღებით შესწავლა, რომ არ გაიპაროს შეცდომა და არ გაჩნდეს დამატებითი კითხვები.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანის შესახებ.

კომისიის წევრების გადაწყვეტილებით რეკომენდცია მიეცა: ქ.თბილისში, ფონიჭალის დასახლების IV მიკრორაიონში კორპუსი №11-ში (საკადასტრო კოდი:01.18.13.037.026) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პროვატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2017 წლის 29 ნოემბრის №44.02.853 განკარგულების ცვლილების საკითხის შეთანხმების თაობაზე, საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტსა და ევროპის რეკოსტრქუციის და განვითარების ბანკს შორის „თბილისის ავტობუსების პროექტი-კორპორატიული განვითარებისა და დაინტერესებულ მხარეთა მონაწილეობის პროგრამის“განხორციელების მიზნით გასაფორმებელი გრანტის ხელშეკრულების „ თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ.

საკითხთან დაკავშირებით ისაუბრა ირმა არევაძემ. მან განმარტა, რომ 2016 წლის მაისსში, „თბილისის ავტობუსების პროექტის“ ფარგლებში საქართველოსა და EBRD-ს შორის გაფორმდა სასესხო და საგრანტო შეთანხმება, EBRD-ს და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას შორის გაფორმდა მხარდაჭერის ხელშეკრულება, ხოლო EBRD-ს და შპს „თბილისის

სატრანსპორტო კომპანიას“ შორის გაფორმდა პროექტის განხორციელების ხელშეკრულება. აღნიშნული პროექტის ფარგლებში უკვე განხორციელდა ახალი ავტობუსების შესყიდვა EBRD-ს მიერ გამოყოფილი სესხითა და გრანტით. ასევე, პროექტის ფარგლებში გამოყოფილია გარკვეული საგრანტო რესურსი კომპანიის სხვადასხვა მიმართულებით განვითარებისთვის. მათ შორის არის „კორპორატიული განვითარებისა და დაინტერესებულ მხარეთა მონაწილეობის პროგრამა“, რომლის განხორციელებისთვის EBRD-ს მიერ მოძიებულია დონორი ორგანიზაცია და გამოყოფილია გრანტი 280,000.00(ორას ოთხმოცი ათასი) ევროს ოდენობით. აღნიშნული გრანტის ათვისების მიზნით, EBRD-ს მიერ გამოცხადებული იქნა ტენდერი, გამარჯვებულად გამოვლენილ იქნა საკონსულტაციო ჯგუფი Mott Macdonald CZ, spol. S.r.o („კონსულტანტი“).

ვინაიდან, ერთი მხრივ,საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, კომპანია არ წარმოადგენს გრანტის მიღებაზე უფლებამოსილ პირს, ხოლო, მეორე მხრივ, იგი არის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, ზემოაღნიშნული გრანტის შესახებ ხელშეკრულება ფორმდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტსა და EBRD-ს შორის.

კომისიის წევრების გადაწყვეტილებით რეკომენდაცია მიეცა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

სხდომა გამოცხადდა დახურულად.

ქონების მართვის და საფინანსო-საბიუჯეტო

კომისიის თავმჯდომარე ირაკლი ზარქუა